



მათრასი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 4

ბელის-შოჭერა არ მიიღება. მას უნდა გამოიგზავნება ამ აღრე-
ხით: Тифლის, Типографіі Цирма, Теодоры Болквадзе

რედაქტორის სიმღერა


რა ლამაზად დაფრიალობს
დალოცვილი ბორბალიო!
მაგრამ მისგან არ მინახავს
მე დაფქვილი ხორბალიო.

სითაც ქარი დაუბერავს
იქით დაქეანებაო
და პატრონიც შრომისაგან
ძლიეს-ღა ექეანებაო.

სურს, რომ ყველას მიაწოდოს
თვისი შრომის ნაყოფიო,
მაგრამ რა ქნას, როცა ფქვილი
აღარა აქვს საყოფიო!

რა ლამაზად დაფრიალობს
დალოცვილი ბორბალიო!.
განუწყვეტლივ დო-მხალსა ფქვავს
რა კი ძვირობს ხორბალიო.

მათრასოსანი.



მგზავრი. რა კარგათ ბრუნავს ეს ბორბალი.

რედაქტორი. ბრუნავს, მაგრამ მაგის დაფქვილი
ვერა ვნახე რა.



1235

ხმა ბრძოლის ველიდან

(ძვირფასი აკაკის ხსოვნას)

ლავეარდოვან ცის კაბადონს მოსწყდა სხივი მოკამკამე
და სამშობლოს მიდორ-ველმა დაიგმინა: ოი, ვახ მე!
უცებ არე^ეგაითანგა,— ყრუ სიჩუმე ჩამოვარდა;
ამირანის კლიტულ კლდიდან მწარე კვნესა ამოვარდა.
ნელმა სიომ ანარეკლით მოიბრინა მთა და ბარი
და მოჰვინა არე-მარეს მწუხარება გლოვის ზარი.
ამცნო ყველას, რომ მნათობი კიდეც მოსწყდა მშობელ ცასა;
აქვითინდა და თან გაჰყვა შორს, ატეხილ გლოვის ხმასა.
ტყვიის ზუზუნს ჩაექსოვა გულ დამწვარი სიო ნელი;
ბრძოლის ველზეც მოგვიტანა ეს ამბავი საშინელი.
გავიგონეთ... და დადუმდა ტკბილი ენა, ტკბილი ქნარი?
ვი ჩვენს დღეს მუდამ ტანჯულს, რა ყოფაა განამწარი!
გავიგონეთ... და არ გვჯერა, ჩვენ არ გვჯერა, რომ.. და რაქნათ?
დავიჯეროთ, თუ დავბრუნდით, რომ აკაკის ველარ ვნახავთ?..

ლავეარდოვან ცის კაბადონს მოსწყდა სხივი შუქ - მფინარე.
ვაჰ, მშობელო, როს დასრულდეს შენი კვნესა სიმწუხარე?!

ბერი ქედანი.

აკაკის ხსოვნას!

მშობელ ქვეყნის ცის კაბადონს კვლავ სიკვდილმა გაჰკრა ცელი,
და მოსწყვიტა მშრომელთ ბაღნარს მიწის ღმერთი მძლეთ-მძლეველი!..
ვინც სამშობლოს სიკვდილამდის უგალობა ჰანგი ტკბილი
შეაჩვენა კაცთ სიხვე. შეიბრალა შრომის შეილი.
ვინც იარას ტანჯულ ხალხის ზედ დადნა ვით სანთელი,
ძმობა სთესა ხალხის გულში გაუნათა ღამე ბნელი.
ვინც „გაბუტულ“ გლეხის შეილსა მფარველ ღმერთად მოველინა,
გათოშილი სიცივისგან ტკბილის „ნანით“ მიაძინა..
თვისი სიბრძნით ვინც აღზარდა თავის ერის მომავალი,
ვინც აღანთო ტანჯულ ხალხში მომავალის ნაპერქკალი..
არ მოკვდება არასოდეს, არ მოკვდება მისი სული
მისი სახე კვლავ ანათებს—ვითარცა მზე ყოველათ სრული..
ვით მარადის იარსებებს საქართველო და ქართველი
თანც აკაკი სულ იცოცხლებს, უკვდავია მის სახელი!..

ბ. უჩხუბელი.

წარსულიდან.

I

ახირებული თხოვნა

რევოლიუციის დროს ვმუშაობდი ერთის გაზეთის რედაქციაში. რა დრო იყო... არც თუ ძლიერ აგვიტანა შიშმა. ვიცოდით, რომ „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“. დაღრეჯილობას ჩვენთან რა ხელი ჰქონდა: ქვეყნის გადაბრუნებას ველოდით, ეოცნებობდით, აი, დღეს თუ ხვალ დადგება ის სანეტარო დრო, რომ „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“. ვიყავით გატაცებულნი ჩვენი შრომით, მისწრაფებით...

უკაცრავად, წარსული გამახსენდა და თითქოს კიდევ ოცნებას მივეცი თავი.

მოგახსენეთ, რედაქციაში ვიჯექი და ვმუშაობდით. შემოალო კარი და შემოვიდა სპარსელი მეხილე.

- რა გნებავთ?
- ამხანაგი ლედახტორი შენა ხარ?
- არა, რედაქტორი ეხლა აქ არ არის. მალე მოვა, დაბრძანდით.
- მაშ შენ ვინა ხარ?
- ლიმილით ვუპასუხე:
- ამხანაგ რედაქტორის ამხანაგი. რისთვის გარჯილხარ?

— ერთი პატარა, ზრიერ პატარა საქმე მაქვს. — წერილი მოიტანეთ გაზეთისთვის?

— არა, მე ქითაბი არ ვისი. მამა ჩემი ზრიერ ნაზავლი კაცი იყო, მე ვაჭარი. ხილსა ვყიდი, რახათლუკუმს, ზრიერ ტკბილი რახათლუკუმია. აბა, გემო ნახე, მიირთვი.

კიდევ გავიღიმე. ვიფიქრე — ან კომუნისტია ეს მეხილე, ან ქრთამს მაძლევს. ვერ ვაწყენინე. მართლა ტკბილი რახათლუკუმი იყო. ჩემის მხრივ ჩაი შევთავაზე. კომუნა თუ არ იყო ჯერ, მასპინძლობა ხომ დიდი ხანია ვიცით.

- რედაქტორიც მოვიდა.
- შენა ხარ ამხანაგი რედაქტორი?
 - დიახ. რას მიბრძანებთ?
 - ერთი პატარა საქმე მაქვს.
 - ბძანე.
 - მე ვაჭარი კაცი ვარ, ხილსა ვყიდი: ქიშიში-ლაბლაბო, რახათლუკუმი, მხხალი, ვაშლი, მიირთვი. პირი გავისველეთ.
 - ზრიელ პატარა საქმე მაქვს. ერთი გარადავი არის. ვაი, ვაი, რა გარადავოია. ქაჯია, სატა-

ნა, შაითანი. ზრიერ ფინთია. მოვა, ზავა, მოვა, ზავა. ერთი ზრასტი არ იცის. სულ იზახის: ადპირაი-ზაპირაი. პაშოლ-პრიშოლ. ზაალა ზაილო, სულ დამიკარგა მუშტარი. ქიშიში-ლაბლაბო, ხილი, რახათლუკუმი ოხრად არის. არავინ ყიდულობს. სულ გარადავოის ბრალია: ადპირაი — ზაპირაი. პაშოლ — პრიშოლ.

- მერე რა გნებავთ ჩვენგან? გაზეთში დაგბეჭდოთ, რომ გარადავოი გაწუხებთ?
- არა. გაზეთი არ მინდა. მე ქითაბი არ ვიცი.
- მაშ რა გნებავთ?
- ორი ტერორი მაიტა. ის გარადავოი მოკალი.

ფეხზე წამოვხტით.

— ეგ როგორ შეიძლება? თუ გინდათ გაზეთში დაგბეჭდავთ. კაცის მოკვლა როგორ იქნება!

— ვაი, ვაი... რომ იცოდეთ, რა ფინთი ვინმეა ის გარადავოი. მაშ რა ვქნა? მე მოვიკლა თავი? ზაალა ზაილო: ატპირაი — ზაპირაი. პაშოლ — პრიშოლ.

- ბოქაულთან უჩივლეთ.
- ჩივილით ბევრი ვიჩივლე, მაგრამ ის გარადავოი არ მომაშორეს. უარესი გახდა.

რედაქტორმა დიდი ლექცია წაუკითხა მეხილეს. ძლიერს დაეჯერეთ, რომ რედაქციას ტერორები არა ყავს და კაცის კვლა ჩვენი ხელობა არ არის, ჩვენ პირიქით გვინდა, რომ ყველამ ადამიანურად იცხოვროს. მეხილე თურმე სრულიად კმაყოფილი იყო თვისი საკუთარი ცხოვრებისა. მარტო ის გარადავოი უჭირებდა სიცოცხლეს.

თუმცა ახირებულ თხოვნაზე უარი მიიღო, მაგრამ ხილი და რახათლუკუმი კიდევ შემოგვთავაზა და წავიდა.

II

ავლაგოთ?

ესეც იმ დროინდელი ამბავია. ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

ღმერთმა დასწყევლოს, ვინც კრახმალის პერანგები და ზაპინკები მოიგონა. სულ იმის ბრალია... კვირა დღე იყო. სტუმრად ვაპირებდი წასვლას ერთ კოპწია ქალთან. შევამჩნიე, რომ ერთი ზაპინკა დამკარგოდა.

ჩავიარე ბაზრისკენ. ხომ მოგვხსენებათ, ქალაქში კვირაობით ბაზარში საქონელი გამოაქვთ, სტოლებზე აწყობენ და ჰყიდიან.

მივედი ერთ სტოლთან და დათვალიერება და-

ვუწყე სტოლზე დალაგებულ საწვრილმანოს: ზაპინ-კებს ვეძებდი.

ვერსად შევამჩნიე, თან ვიფიქრე, კი არ დამიგვიანდეს. — კოპწია ქალი ალერსის მაგივრად წარბშეკმუხნული დამიხვდებოდა. საათს დავხედე. ჯერ აღრე იყო.

მეწვრილმანემ რაღაც შიშით შემომხედა.

— ავლაგოთ?

მეც ვაკვირვებით შევხედე.

კიდევ შიშით განიმეორა:

— ავლაგოთ?

სულელია მეთქი, ვიფიქრე და უნებლიეთ ვუბასუხე:

— აალაგე...

არა, მე რა მენაღვლებოდა — აალაგებდა თუ დაალაგებდა, არც კი დავფიქრებულვარ, რა უნდა აალაგოს.

გავშორდი და მეორე მეწვრილმანისკენ წავედი იქნება იქ მეშოვნა ზაპინკე.

დათვალაიერება ვერ მოვასწარი, რომ მეწვრილმანემ შემომძახა:

— ავლაგოთ?!

ეს ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ უფრო თანხმობა იხატებოდა ამ სიტყვებში, ვიდრე კითხვა. მეწვრილმანემ საჩქაროდ ალაგება დაიწყო საქონლისა.

მივიხედე და პირველ მეწვრილმანეს უკვე ალაგებული ჰქონდა სტოლი.

მესამე მეწვრილმანისკენ გავსწიე, მაგრამ რომ მიუბახლოვდი, შიშით შემომძახა:

— ეხლავე! ეხლავე!

და საჩქაროდ დაიწყო აკრეფა საქონლისა.

ერთ წუთში მთელი ბაზარი დაცარიელდა.

ჯანდაბადი გზა გქონეთ მეთქი, ვიფიქრე. ოხერ-ტაელა კრახხალის მაჯები გამოვიძრე, გადავყარე და ის იყო უნდა წავსულიყავ კოპწია ქალი-საკენ, ჩამავლეს მაგრად ოთხიოდე კაცმა ხელი და გამოიტაცეს.

ჩემი უბედურების ამბავი გაიგო კოპწია ქალმა. აქეთ ეცა, იქით ეცა, ქვეყანა შეაწუხა თურმე, მაგრამ ვერაფერი მიშველა.

ერთმა შემთხვევამ მიხსნა უბედურებისაგან.

ჩემ კოპწია ქალს მეგობარა ჰყავდა მეორე კოპწია ქალი. ამ მეორე კოპწიას ეკურკურებოდა ერთი ბებერი პომპოლიკი, პომპოლიკის ახალგაზდა ცოლს ეარშიყებოდა ერთი ვაჭრის მზარეული, მზარეული მოსწონდა ერთი დიდი ბობოლას ცოლს.

დატრიალდა ჩემი კოპწია ქალი: იარა ჩემი და-

ტუსაღების ამბავმა და მიაღწია ბობოლამდე. გამოიძიეს საქმე.

თურმე, ნუ იტყვივით, აი, რისთვის დამიჭირეს:

იმ დროს ვაჭრებს კვირაობით მუელ დღეს უნდოდათ ვაჭრობა. პოლიციაც, როგორც მათი გულშემატკივარი, უბრძანებდა ფების ხმას ნუ აყევი-ბით, და ვიღაც სოციალისტებს ნუ დაუჯერებთო. ვაჭრებმა მოახსენეს:

— კარგი და პატიოსანო. მაგრამ, სწორეთ 12 საათზე ჩამოვივლის ხოლმე ვიღაც ტერორისტი და გვიბრძანებს — აალაგეთო.

ჩვენც გვეშინიან და საქონელს ვალაგებთო.

პოლიციამ ბრძანა: მაცა, მაგ ტერორს დავიჭერთ და ნახე, რა დღე დავაყენოთო.

მე რომ ზაპინკების საყიდლად ჩავეხეტე ბაზარში და საათს დავხედე, თურმე სწორეთ თორმეტი საათი ყოფილიყო...

იმ გასაკოტრებელ ვაჭარს თურმე ტერორისტი ვეგონე და შიშით მკითხა.

— ავლაგოო?

მე რა ვიციოდი. მოუფიქრებლად ვუბასუხე: „აალაგე“.

ბაზარი ალაგდა და მე ვინც თვალ-ყურს მადევნებდა, მტაცეს ხელი და... დანარჩენი აკი მოგახსენეთ.

ყოველივე ეს კოპწია ქალის წყალობის მოახსენეს ბობოლას. დამიბარა. გამომკითხა. მეც ყველაფერი მოვახსენე გულახდილათ. ბევრი იცინა და ნაობახტიდგან გამომისტუმრეს.

იღბალი თუ გინდა ეს არის. კოპწია ქალი რომ არ დამხმარებოდა, ეხლა ამ ქვეყნიდან ვიქნებოდი ალაგებული.

ერთი სენი კი დამჩემდა: რომ იტყვიან სუფრა ავლაგოთო მეშინიან, მგონია ნაობახტი უნდა ჩამსკვან.

უდანაშაულოთ გამათრახებული.



ჩემი გზა...

დაე ისარი გაშმაგებულმან
შორითა მტყორცნონ, გულსა დამასონ
და სისხლი მქეფერი, მუნ მონადენი,
წყლისა მაგიერ მომცენ და მასონ;

დაე გულს წასულს გულწასულნივე
ზედ მეფაროდნენ, ცოცხლად მმარხავდნენ;
დაე მშობელნი, დები თუ ძმები,
და მეგობრები გვერდით არ მყავდნენ;

მაინც ჩემს თავსა, მოთქმა-ტირილით
ჩემებრ მონასა არ შევებრალებ
და მის ჩადენილ მხეცურ საქმესაც
მას არ მივაწერ, არ დავაბრალებ...

და განა მე, სხვის ხელში მქერ დანას,
ვარდისა მოკრა მენდომებოდა?!
განა არ ვუწყი თუ ყლორტი მისი
რარივად მწარედ აცრემლდებოდა?!

დაე ისარი გაშმაგებულმან
შორითა მტყორცნონ, გულსა დამასონ
და სისხლი მქეფერი, მუნ მონადენი,
წყლისა მაგიერ მომცენ და მასონ;

მაინც ჩემს გზასა, იმ ძველსა გზასა,
მწარე ტანჯვისა გამაქარვებელსა;
არ გადაუხვევ... ვივლი და ვნახავ
იმ ჩემს პირველსა მახარობელსა...

მიხ. ნინოწმინდელი

ფირალობა გურიაში*

I

ფილარი ლომჯარია.

მართალია, აკაკის კიკოლასავით, ასი წლის
არა ვარ, მაგრამ ისიც კმარა, რაც მე თითქმის ამ
ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიწახავს — გამიგო-
ნია.

ალახვენით ყურნი თქვენნი სმენათ! რასაც მე
თქვენ გაიმბობთ, ეს არც ზღაპარი, არც ლეგენდა
და არც უსაქმო კაცის ოცნების ნაყოფია, არამედ
ნამდვილი მომხდარი ამბავია. დღეს აღარც ლომჯარია
და აღარც ის თავადი, ვინც ლომჯარია შეატ-
დინა და აღამიანი მოაკვლევინა, ამიტომაც შეგვიძ-
ლია, რაც მოხდა, სთული სიმართლით ავწეროთ.

ეს იყო 80-ციან წლებში. იმ დროს გურიის

ფირალების „მთავარ-სარდალთ“ დათულია სურგულ-
ლაძე ითვლებოდა. დათულიას თავი დაფასებული
იყო, მაგრამ ის ტყის ნამდვილი გმირი იყო, მდე-
ვართ ხელიდან ადვილათ ექცეოდა და პირიქით
აყენებდა ზიანს... შემოდგომის თვის ერთ საღამო
ქამს, ქ. ოზურგეთში, თავისსავე სახლის მახლობ-
ლათ თოფით მოკლეს ოზურგეთის მაზრის უფრო-
სის თანაშემწე მთავარი ანტონ წაქაშიძე. მკვლელი
მიიმალა და ბევრი ასე ფიქრობდა, რომ ის მოკლა
დათულია სურგულაძემ. მაგრამ რამდენიმე დღის
შემდეგ ყველამ, გაიგო რომ ნაქაშიძე მოუკლავს
არა ფირალს, არამედ მშვიდობიან მცხოვრებს
ლომჯარიას.

რათა და რისთვის უნდა მოეკლა ლომჯარიას
ნაქაშიძე?... ეს კითხვა დიდხანს ბურუსით იყო მო-
ცული, მაგრამ ბოლოს მაინც ცხადი დარჩა, თუ
ვინ იყო ამ მკვლელობის ნამდვილი მიზეზი.

II

გურიის სამხრეთის ერთ სოფელში ცხოვრობ-
და ახალგაზრდა მარჯვე გლეხი ლომჯარია... არ
ვიციტ, ვინ იყო მართალი: ლომჯარია თუ მისი
მეზობლები, მაგრამ ვიციტ, რომ ლომჯარიას მე-
ზობლებმა ხარის ქურდობა შესწამეს. მამასახლისმა
შეწამებულის დაქერა დააპირა და სანამ ლომჯარია
ამ საქმეს „ჩააკეთებდა“ მანამდის ის კი არ გაფი-
რალდა, არამედ გადადგა. გადადგომა ნიშნავდა იმას,
რომ უიარაღოთ ფარულათ ცხოვრობდა და გაურ-
ბოდა მართა მთავრობის მოხელე პირებს. ის ცდი-
ლობდა საქმე ისე მოეწყო, რომ ბრალდება თავი-
დან აეყარა და შემდეგ თვით გამოცხადებოდა მთავ-
რობას.

ლომჯარიას გასაჭირი გაიგო გურიაში (და გუ-
რიის გარეთაც) კარგად ცნობილმა თავადმა მელი-
ტონ ნაქაშიძემ. მელიტონი იშვიათი ჭკვიანი და

* ფირალი (ყა აღი, გადავარდნილი კაცი) გურიაში
თითქმის ყოველთვის იყო. ძველათ ფირალობის უმთავრესი
მიზეზი იყო ბატონ-ყმობის სამარცხვინო უღელი: ბუნებით
ამაყი და დიცი გურული ფიზიკურათ სჯიდა თავის სასტიკ
მებატონეს და თავისუფლების საგრძნობლათ ტყეს შეფარებ-
და თავს. ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ კი გურული გაუ-
რბოდა მთავრობის სასამართლოს, გურულს ეწინააღმდეგო
ში გადასახლების „გაროზგის“ და ასე წარმოადგინეთ — ორი
თვის ციხის შიშიც საკმარისი იყო, რომ გურული ვაფირა-
ლებულიყო. ზოგჯერ კი, ზოგიერთ გაიძვერა პირის მოხერხე-
ბით მარჯვე და ყოჩაღი ახალგაზრდა იძულებული ხდებოდა
გაქცეოდა ნორმალურ ცხოვრებას. ჩვენ განვიძრახენით სანი-
მუშოთ ავწეროთ ზოგიერთა გურული ფირალის ვაფირალების
ნამდვილი მიზეზი.

ზოჯ — ოღლი

მოხერხებული კაცი იყო, მისი აფერული მოხერხების ამბავი დღესაც საზღაპროთ არის დარჩენილი. მელიტონი ოზურგეთის ბოზოლგებში დიდი გავლენის თავადი იყო. მაზრის მაშინდელი უფროსი თავადი ო. დ - ნი ხელში ეჭირა. მელიტონი სახლი-კაცებს და სახლიკაცები მელიტონს ვერ ეგუებოდენ. სხვათა შორის მელიტონს სძულდა მაზრის უფროსის თანაშემწე თავ. ნაკაშიძე და ცდილობდა მის თავიდან მოშორებას და აი საამისო მარჯვე დროც დაუდგა. მელიტონმა ინახულა „გადამდგარი“ ლომჯარია და თავისებური მოქარგული ერთ უთხრა: — ოტია და ანტონი (მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე) დიდი გადაკიდებულია, მაზრის უფროსს უნდა მოკლას ანტონი და მე მითხრა ვუშონო კაცი, შენ თუ გინდა გვატივოს ხარის ქურდობა და საჩუქარიც — მიიღო მოკალი ანტონი.

ლომჯარიას რომ ყოყმანი შეატყო, რომ გაუფანტოს ყოველი ეჭვი, ამიტომ უთხრა, რომ ის პირის პირ უჩვენებს მაზრის უფროსს და ის თითონ ეტყვის იმას, რასაც ის ეუბნება მის მაგიერ.

მელიტონი ახლა ეწვია მაზრის უფროსს და მოახსენა:

— ამ დათულია სურგულაძემ რომ აიგდო თავი და მისი შიშით გარეთ თავი ვერ გამოგიყვიათ, როგორ დაგემართათ, რომ ის ამდენხანს ვერ მოკალით... ყაძახი ლომჯარია ამბობს, მე მოვკლავ, ოღონდ მაზრის უფროსმა ხარის ქურდობას რომ მწამობენ იმიდან გამანთავისუფლოსო.

— აბა, კნიაზო, მე არ დამიჯერა იმ ყაზახმა (ლომჯარიამ) გიჩვენებ თქვენ და თუ თქვენ კი ეტყვიან — რომ რაც მე დავპირდი თქვენ. აუცილებლად შეუსრულებთ, მაშინ ქე მოკლავს და ქვე მისვენებთ თქვენც და მთელი გურიაც.

მაზრის უფროსი სიამოვნებით დათანხმდა მელიტონის წინადადებაზე. მელიტონმა შეარჩია დრო და ღამით, როცა „ბატონი შვილი“, მაზრის უფროსი, ამქრებში პროფერანსს თათაშობდა, მაშინ მიიყვანა ლომჯარია და ჩასაფრა მოხერხებულ ადგილას... გამოვიდა ოტია და ლომჯარიას უთხრა:

— ბიჭო, შენ რომ გითხრა კნიაზმა იმას თუ მოკლავ მე მკითხე შენი პატივის ცემა, ხარის ქურდობა რა უნდა იყოს აგაყვავილებ, გაგაკათებ კაცს...

III

მესამე დღეს საღამოს მაზრის უფროსის თანაშემწე ანტონ ნაკაშიძე როცა ის „ტროიკით“ სამსახურის გამო ოზურგეთიდან ნაგომარზე მიდიოდა, საფარიდან თოფით მოჰკლეს... ლომჯარიაც გაფირალდა და რამოდენიმე ხნის შემდეგ ისიც ტყვიის მსხვერპლი შეიქნა. არც მაზრის უფროსს მიუღია — გუბერნატორობა...

ხოჯ-ოღლი.

კაცი და გველი

(სიბრძნე-სიფრუიდან)

ვეძღვნი ი — ბს.

ქვაზე ნათეს ვინ მოიმიკის,
ანწლში თაფლი ვის უნახავს?
ბრიყვი ქუის სამყაროშიც,
მაგნებელ გზას გამონახავს!..
ბ. ბ.

ძეძვსა ირგვლივ მოსდებოდა,
აღზნებული ცეცხლის ალი
და ზედ გველი გასულიყო,
ალარ ჰქონდა წასვლის ძალი.

ამ დროს ძეძვის სიახლოვეს,
გზაზე კაცი მიდიოდა
და მოესმა მალალი ხმით,
ძეძვზე გველი გასწოდა.

კაცსა ძლიერ შეებრაღა
შხამიანი იგი გველი
და სთქვა; „თუმცა ბოროტია
და წყეული ეს ცხოველი.

მაგრამ მინც ვით სულდგმული,
ჩემსავით ჰგონობს სატანჯველსო,
მალლისათვის გადავარჩენ
ამ საზარელ ცეცხლსა მწველსო.

ხელთ ნაქერი გრძელი ჯოხი,
გადაუდვა ძეძვის პირსა,
არ ეგონა, რომ ამითი
მოიმიკიდა გასაქირსა:

მაგრამ საქმე არ წავიდა
ისე, როგორც ჩვენს მგზავრს სურდა;
გამონატყორც ისარივით
გველი ჯოხზე გამოცურდა.

და ეძგერა ფინთიხივით
ვით ნასროლი თოფის ტყვია
და საბრალო გულ-კეთილ მგზავრს
სწრაფათ ყელზე მოეხვია...

შეკრთა კაცი უბედური,
დღე დაადგა მეტად მწველი
ნახა ძალა ვეღარ შევლის,
ისევე ხვეწნას მიჰყო ხელი.

გველსა უთხრა: „რას სჩადიხარ!
მოგეხმარე ვით ძმა-ძმასო
და შენ მტრობით მაჯილდოვებ,
საკეთილო გულის თქმასო?!

გველმა უთხრა: „კარგისათვის,
კარგი საქმე ვის უქნია?..“
და ორ-წვერა გესლიანი
ენა, მწარედ გაუქნია...

კაცმა თვალი შემოავლო,
იმ გადაშლილ მინდორ-ველსა,
მაგრამ ვერვის ვერა ჰხედავს
მომხმარეს და პატრონ-მცველსა.

მთელს მინდორზე მარტოოდენ
ერთი ხეა მხოლოდ მდგარი.
კაცი ხისკენ გაეშურა,
შეწუხებულ, გულ-დამწვარი.

მას შესტირა, შეეხვეწა,
რა ტკივილმა შეაწუხა,
გამოსთხოვა სამართალი
და ხემ ასე უბასუხა:

„ხომ ხედავთ, რომ წარმოვადგენ,
საჩრდილოებელ ტურფა კარავს
და ეს ჩემი შტო-ჩარდახი,
მგზავთ სიციხიდან დაიფარავს.

მაგრამ მაინც ვერ მოვიგე
დაწყველილი კაცის გული
და ყოველთვის მისგანა ვარ,
დასჯილი და წამებული.

ჩემგან ამ კმაყოფილებას
არაადა სთვლის, ვერ იფერებს;
მაგიერად ტოტებს მამტერებს,
მოსაქრელად თვალს მაშტერებს.

სანაცვალოს სიკეთის ქმნას
არ კისრულობს... უარსა ჰყოფს!..
და კარგს იზამ, გველო, მაგ კაცს
რომ შხამ-გესლით შეჰყრიდე ცოფს!..

შესაბრალო კაცი თვალებს,
აქეთ-იქით აცეცებდა,
ამ საზარელ მტრისგან დამსხნელს,
მოუთმენლად დაეძებდა.

მაგრამ მწესა და მხსნელ-პატრონს,
იქ ვერავის ვერ ხედავდა
და საზარელ მტრის წინაშეც,
ველარაფერს ვერ ჰხედავდა.

დარწმუნდა, რომ მისი დღენი
დაითვალა, — დაილია.
სიკეთეს და სიმართლესა
ბოროტებამ ურცხვად სძლია.

რალა ჰქნას? შეეხვეწა:
„დიდებულო და ძლიერო,
შენს ხელში ვარ ხომ, ბატონო,
გრძნეულო და მეცნიერო.

შენ ხომ თვითონ გრძნობ და იცი,
რა სიკეთეც რომ გიყავი,
შენი გადარჩენისათვის,
გავიწირე ჩემი თავი.

ამისათვის მხოლოდ ერთს გთხოვ:

არ იხმარო მტრული ძალი
და ეს საქმე ორს-სამს ვეთხოვო
რაიც მოგვეცნ სამართალი,
ჩვენ იმაზე გავიაროთ,
ნუ აყვებით გულისნებას,
ბრძენი ხარ და ნუ ასცდები,
სწორ მსაჯულთა სიბრძნე-მცნებას.

გველმა უთხრა; „კარგი, კარგი!
არ ჩავიდებ მაგაში შურს,
წადი!.. მეც ხომ შენთანა ვარ
ინახულე რომელიც გსურს“...

მშველელ-მსხნელის მამებარმა
კაცმა მინდვრად სარი ჰპოვა,
მივიდა და მუხლ-მოდრეკით,
სამართალი გამოსთხოვა.

ხარმა უთხრა: „კარგად იცი,
ვწრომობ ზამთარ ზაფხულითო,
მაგრამ კაცი ვერ მოვიგე,
მე ამ კეთილის გულითო!

დღიურ შრომით და ოფლის ღვრით
მთლად ვასწორებ მთა და ბარსო,
ბოლოს ჯილდოდ თავს მომჭრიან,
მე საცოდავ მწრომელ ხარსო!

ჩემ ხორცს სუამენ დმ ტყავს კიდე
ათას გვარად ხმარობენო,
ფაშე-ბუშტისას დაირს ჰმართვენ
და ზედ ცეკვით ჰხარობენო.

ამ ნაირი სამსჯავრო აქვს
თქვენ — კაცების ბოროტ ჯიშსო,
თქვენში ვერვინ ვერ იპოვის
საწესრიგო ანგარიშსო.

თქვენგან ვითმენთ მუდამ ტანჯვას,
წვალებას და წყენასო
კარგსა იქნა ეგ გველი, რომ
ჩავასობდ , ენასო...“

გველმა რა ეს მოისმინა
კაცს ძალაზე მოუჭირა,
მისი სულის ამოძრობა
მოინდომა... დააპირა.

მაგრამ მგზავრმა დაინახა,
ტყის პირს მჯდარი კულა-მელა,
მივიდა და დაუჩოქა,
გასაჭირში სთხოვა შეელა.

მოახსენა: „ეს ურწმუნო,
მოვარჩინე ცეცხლის აღსო,
და სანაცვლოდ რა კი მახრობს,
თქვენგან ველი სამართალსო“!..

„გათრახის“ შარუები

გველმაც თავის ჩვენებისთვის,
 ააწიელა შხამი—ენა,
 ხარისა და ხის მოწმობა
 მსაჯულ მელას მოახსენა.
 მელა მინც გაურისხდა,
 გველს შესძახა: „ბილწო, ნასო!..
 შენ არ იცი, რაც წესია
 ჩემ სამეფო ქვეყანასო?

ხომ იცი, რომ ჩემს წინაშე,
 სამართლისთვის მოწვეულხარ?
 მაშ რას ნიშნავს, რომ დაჩოქილს,
 შენ კისერზე მოხვეულხარ?!
 ძირს ჩამოდი!.. თორემ შენზე
 განვარისებ სამეფო ძალს,
 და სამართლად გადაგიწყვეტ,
 რომ მიეცე ისევ იმ აღს..!

გველი მყისვე დამორჩილდა,
 ჩამოცურდა და ძირს დაწვა,
 მელამ უცბად თავში დაჰკრა
 თითი მაგრად და დააწვა.

უთხრა: „შენი სამართალი
 ეს არისო“—გველი მოჰკლა,
 თავი ტანით შორს გასტყორცნა
 და სიკოცხლე შეუმოკლა.

მერე კაცსა მიუბრუნდა,
 შინ წასვლისა მისცა ნება,
 მაგრამ კაცს სულ დაავიწყდა,
 სიკეთე და მოთბინება.

და გულში სთქვა უსირცხვილომ:
 „მოვკლამ მელას, გავხდი ტყავსო
 და ოჯახში ძღუნად წავიღებ,
 უქათიმბო ცოლი მყავსო“.

ეს რომა სთქვა, ჯოხი ხელში
 მოიმარჯვა, დაიგრძელა,
 უნდოდა, რომ დაეთლიშა,
 მაგრამ უცბად გაფრთხა მელა!

და გადურჩა მწარე სიკვდილს
 წესსა და რიგს ვადამცდარი...
 ცრუ მსაჯულის ტყავში მყოფი,
 შორით დაჯდა გულ გამსყდარი

და ჰფიქრობდა, რას ვერჩოდი,
 ამ სწორს მსაჯულს, საწყალ გველსო!
 ან მე რისთვის ვიმატებდი
 სევდასა და სატანჯველსო?!..

გველი სწორად სამართლობდა,
 რომ აღჩოხებდა კაცს მართალსო,
 რადგან კაცი, თვით მართალიც—
 ფეხით სთელაფს სამართალსო!..

ნო შრეგვანიძე.



ილია შურაბიშვილი.

ბრძოლის ველიდან (სატრფოს)

სალამსა გიძღვნი შორიდან
 ჩემო ლამაზო თინაო,
 უშენოთ მე აქ სიკოცხლე
 მომბეზრდა— მომეწყინაო.
 შეიდი თვე არის დავშორდი,
 აღარ ვყოფილვარ შინაო;
 ნეტავი ერთხელ გნახვიდე,
 ეს ნატვრა ამიხდინაო. —
 არ ვიცი, შენი ამბავი,
 გული სწუხს, გული ღონდება;
 შენთან გავლილი დრო-ჟამი
 როდესაც მომაგონდება, —
 შენსკენ მოვფრინავ, გონება
 ბრძოლის ველს წამით შორდება;
 ვინ იცის—აღრე მოვალ, თუ
 აქ ბევრი დამაყონდება...

გასაქირიო აქ ყოფნა,
 დღენი მაქვს განამწარები,
 მაგრამ რა ვუყოთ, გენაცვა,
 ხომ ევრსად გავიპარები?—
 ვიბრძოლებ სანამ კი ძალიმძს,
 სანამ მერჩის კლავები;
 ან სახელს ვნახავ, მოგივან,
 ან მიწას მივგებარები...

იქნება ჩემზე სტიროდე,
კრემლმა გატკინა თვალები?
თუ გადაფურჩი ამ ყოფას
მოკალ და გენაცვალები.—

ან იქნებ სხვაზე გამცვალე
და დამივიწყე კიდესა;
მაშინ მიჯობდა სიცოცხლე
რომ სიკვდილისთვის მიმეტა.—

შენგან ლალატი, თინიკო,
მე ნუ მასმინოს ზეცამა;
აქ გული ისეც გაწყალდა
და სული უღვთოდ ვწამა...

აქ ყველაფერი ბრძოლის ღმერთს
უსიტყვოდ დამონებია;
აქა სიცოცხლე, სიკვდილი
ერთმანეთს ჩაპკონებია,
დღეს სიცოცხლითა აღსავსეს
ხვალე არ გასთენებია
და უღმობელი მას ტყვია
უწყალოდ დასჯახებია...—

მე კი ჯერ არა მიშავს რა,
ვმზნობ და ვდგავარ მაგრათა;
არ გაფურბივარ სიკვდილს და
არც ვეგებები ძალათა.

ბევრი ვეცალო, რას ვიზამ,
ვინ შესცვლის ბედის ბრუნვასა?
ვმადლობ მე იმას, რომ ჯერედ
არ იშლის ჩემზე ზრუნვასა...

ნუ დარდობ ჩემზე, თინიკო,
კრემლს ნუ დაიდენ თვალებდა;
შენათ მიგულე, გენაცვა,
(კი არ გამცვალო სხვაზედა).
ვინ იცის, აწვეც ბედისგან
არ დავრჩე მოძულეებული,
გადავრჩე ამ განსაცდელს და
მოვიდე გამარჯვებული.—

შენც კარგათ დამხვდი, კოკობო,
ოდეს მოვიდე შინაო;
ტკბილათ შეგიტკობ, შემეტკებ
ლამაზო ჩემო თინაო.

გ. ლიდოშვილი.



გ. მ. ლუმბაძე.



გ. წ. მცირევილი.



მ. ი. ფირცხალაშვილი.

საქართველოს მახინჯი შვილები.

„მაზრახი“ დღევანდელ წომერში მოთავსებულია სურათი სამათრახო ჯგუფი მძა-ბიკების. ამ ვაე-ბატონებმა თავის ამხანაგებთან ერთად შარშან წინ რუსეთში ჩაიდინეს სამარცხენო საქმე, გამარცხვეს გემი და მით დაიმსახურეს ექსპროპრიატორების სახელი.

ერთ დროს რუსეთში ქართველებს ღიღი ნდობა ჰქონდათ მოპოებული. ქართველს სამსახურში და სამუშაოზე ღიღის სიამოვნებით იღებდენ, რადგანაც ქართველები განთქმულნი იყვნენ მუყაითობით და პატროსნებით. საუბედუროდ განმათავისუფლებელ

მოძრაობას მოყვა ერთი ყოვლად სამარცხენო საქმე. ბევრმა ახალგაზრდამ ხელი მიყო სხვისი ქონების მითვისებას. ის, რაც წინაჲ ქურდობათ, სხვისი ქონების მითვისებათ, ყაჩაღობათ და ავაზაკობათ იყო ცნობილი, და მაშასადამე ღიღ დასაგმობ საქციელათ, გამოუცვალეს სახელი, მოქმედებას დაარქვეს ექსპროპრიაცია, ხოლო აეკაცობის ჩამდენმა პირებმა თავის თავს უწოდეს ექსპროპრიატორი.

ბევრი ახალგაზრდა, რომელიც ქურდობას სამარცხენო ხელობათ თვლიდა და ქურდობის ჩამდენს სამარცხენო ბოძზე აკრავდა, ექსპროპრიატო-

რობა ჩათვალა საგმირო და მოსაწონ საქმეთ ბევრი კიდევ ამოყობდა იმით, რომ ექსპროპრიატორია... ამას მოყვა საშიშარი შედეგი: ხალხმა შეიძულა მოძრაობის ზოგიერთი მონაწილე პირები და მით შეილახა თვით წმინდა საქმე, რადგანაც ბევრმა (ახალგაზრდათაგანმა) ის დასკვნა გამოიყვანა, რომ თითქოს, მოძრაობა სხვისი ქონების მითვისება იყოს და მდიდარის ძალდატანებით გალატაკება და მეტი არაფერი. ცხადია საქმის ნამდვილი მოყვარულები ექსპროპრიატორების თარეშს დიდის წინააღმდეგობით შეხვდნენ და მათი საქციელი დაგმეს, მაგრამ ძნელი დარჩა ალაგმვა ახალგაზრდების და ძლიერ ბევრი ახალგაზრდა, რომელიც მომავლის დიდს იმედს იძლეოდა, მსხვერპლი გახდა ამ სამარცხვინო ხელობის

ქართველი ბევრი ახალგაზრდა გაეშურა რუსეთში და შორეულ აღმოსავლეთში და იქ ბევრი თავხედური თავდასხმა მოახდინეს და მით ქართველებს დიდათ გაუტყვეს სახელი და დაუკარგეს ნდობა. ერთ ასეთ თავხედურ თავდასხმას, ესე იგი ექსპროპრიაციას ჰქონდა ადგილი 1913 წელს, 16 აგვისტოს, დონის-როსტოვში, მდინარე დონზე. ამ დღეს ქართველებმა: მეტრეველმა, დუმბაძემ, ფირცხალაიშვილმა, ელბაძემ, შველიძემ და სხვებმა აიღეს ბილეთები და გაყვეს გემ „პეტრეს“, როგორც მგზავრები. გზაში ასტყვეს სროლა, გააჩერეს გემი, გაძარცვეს გემის კასა. სასიკვდილოთ დასჯრეს კაპიტანის თანაშემწე, წაიღეს: 75,00) მანეთი ქაღალდის ფული, ერთი პარკი ვერცხლის ფული—1300 მანეთის და 10,000 მან. სესხის ქაღალდები. ასეთი უხვი ნადავლის შემდეგ გააჩერეს გემი და ნავით გადავიდნენ მახლობელ ტყეში. ტყის მახლობლათ მათ უცდიდა წინათ განზრახული ავტომობილი. ექსპროპრიატორებმა გაიყვეს ფულები და ცალ-ცალკე ფიქრობდნენ ტყეს გასცლოდნენ, მაგრამ მეორე დღესვე ყველანი შეიპყრეს და ფულიც ზედვე აღმოაჩნდათ. იოლი ნაშოვარით გამდიდრების მოწყურებული ახალგაზრდების საქმე წლევეანდომადის არ გარჩეულა, წელს კი 7 თებერვალს დაიწყო როსტოვში ამ საქმის გარჩევა. და ცხადია ყველას მიუსაჯეს კატორღა. ჩვენ დღეს ვათავსებთ ამ საქმის მონაწილის სამის სურათს და ამით ვგმობთ და ვკიცხავთ ექსპროპრიატორთა სამარცხვინო საქციელს.

პეტრე.

სადგურზე

(სურათები)

I

გურიის ერთ-ერთ რკინის გზის პატარა სადგურზე აუარებელ ხალხს მოუყრია თავი. მოხუცი, ახალგაზრდა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ერთმანეთში ირვეიან... სიცილი, ტირილი, ჩუმი ქვითინი ყველა, ეს აღამიანს რალაც ლახვარივით ხვდება გულს. ყველა ერთ და იმავე გრძნობას შეუპყრია, ყველას სახე სევდიანობას მოუტავს... ყველას ჩამოსტირის პირის სახე. აქა-იქ ისმის სიცილი, მაგრამ ეს სიცილი შხამ-გესლით არის სავსე... ეს სიცილი უფრო სევდის ამშლელია!.. მაგრამ ამავე დროს არის იმედის მომცემიც... იცინიან... და ამ სიცილში ნათლათ გამოსქვივის მათი სულიერი მწუხარება... მათი მთელი სევდა-ნაღველი!..

რა იყო, რა მოხდა?..

ეს კითხვა ყველასთვის ახსნილია!.. სად მიდის ეს რჩეული ვაჟაკები?..—იქ, სადაც სიკვდილი უფრო ახლოა!.. იქ, საიდანაც საქმელოა დაბრუნება!..

აქ ნახავთ წელში მოხრილ მოხუცებულ ქალებს და კაცებს, ახალგაზრდა ქალებს, მათ შეილებს, რომლებიც გამოჰყოლნია გასაცილებლად თავისიანებს.

ნახევარი საათი კადევ დარჩენილა მატარებლის მოსვლამდის. ნახევარი საათის შემდეგ გულის ტკივილით უნდა გამოეთხოვონ ერთმანეთის, ბევრის თვალეები ცრემლით უნდა ამოივსოს, ზოგი მარჩენალ შვილს ეთხოვება, ზოგი ქმარს, კი ძმას, ზოგი კიდევ ნაცნობ მეგობრის განშორებას ნანობს!..

ხალხი სადგურის ბაქანზე ბუზებივით ირვეიან... ყველას სულიერი განცდა ერთი და იგივეა, ყველა რალაც საგრძნობელ წუთს ელის?.. ღრუბლიანი ცა თითქოს თანაუგრძნობდეს აქ მყოფთ, სევდის სამოსელში ჰხვევს ქვეყნის მნათობ მზეს!..

თითქოს ისიც სატირლათ ემზადებოა, უფრო და უფრო იზიდავდა თავისკენ შავსა და სევდიან ღრუბლებს!..

ერთი ქერა, შუა ხნის კაცი, ძალდატანებულის ღიმილით სდგას წელში მოხრილ დედაბრის წინ, და აცრემლებულს საიმედო სიტყვებს ეუბნება:

— ნუ ტირი დედა! ტირილი არ ვარგა. რა ვუყოთ, რომ მივალ, სადაც ამდენი ხალხი მიდის, იქ ვითომ მე რა მიჰიარს! ესენი ყველა მიდის.

უთხრა შვილმა აცრემლებულ დედას და ხელით ანიშნა შეჯგუფულ ხალხზე.

— ვაი, შენს დედას, შვილო! — მწარედ ამოიოხრა დედამ და ცრემლა მოიშორა, — არ მოვსწრებოდი ამ დღეს, ჩემდა ბედნიერება იქნებოდა, რაღათ მინდა სიცოცხლე უშენოთ, შვილო! რიღასი იმედი უნდა მქონდეს, რაღა მეცოცხლება!.. რაღათ მტოვებ შვილო, რაღათ, მეც წამოვალ არ მოგვორდები!.. და აცრემლებულმა გულზე მიიკრა ვაჟკაცი შვილი, ცდილობდა ცრემლები შეეკავებია, მაგრამ ვერ ახერხებდა, მის დანაოქებულსა და დატანჯულს სახეზე ცრემლები დაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

— ნუ გეშინია დედა! მე ღმერთით მშვიდობით დავბრუნდები.., მე არაფერი მიჭირს, შენ მოუარე მხოლოდ შენ თავს, ყველა მეზობელი შეგე შენს მდგომარეობაში, ყველა მოგხედავს, სანდროსაც ქე დაუმოწმე ყურადღება მოგაქციოს... ახლა მასაც აუკთოლდა ხმა, დედის სიბრალულმა მასაც მოსტაცა ცრემლები, მაგრამ საჩქაროდ მოიშორა, რომ დედას არ შეემჩნია, არა ნაკლებ სწუხდა თვითონაც დედის მოშორებას, მაგრამ არ იმჩნევდა და დედის სანუგეშოთ გულს იმაგრებდა.

აცრემლებული ცოლიც ასე აბარებს თავის ქმარს: — ხშირად მომწერე წერილი, ხომ იცი რა ფიქრშია ვიქნები... არ დაგვივიწყო!

ერთი ჭაღარა შერეული, შუა ხნის ქალი ასე ესაუბრება ახალგაზრდა ქალს:

— მაგის შემყურემ, როგორ არ ვიტყვიო შვილო! მაგის მეტი რა მყავს! საწყალი მე მაიმედებს და თითონ დანა პირს არ უღებს, რა დიემართება, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის...

— რა ვქნათ დედა, რა, ასე მოიტანა დროებამ და რას იქ, ეჭ, ცოცხალი ადამიანი თურმე ყველაფერს უნდა მოელოდეს. იემი ძმები ილიკო და სამსონ ორივე წაიყვანეს, ჩემი ბიძაშვილები სამნივე წავიდნენ... მთელი ოჯახის ბურჯები!.. მარა რას იქ... თავს ხომ ვერ მოიკლავ, ქვეყანა მიყავთ და შენს შვილს ვილა დაგიტოვებს!

— ქალო, კი მარა, მე რამ უნდა მანუგეშოს, იმას რომ რამე გაუჭირდეს?.. ოი, იმათ კი დაექცათ სამართალი!.. ისინი რაღაც მიწის შექმნისათვის ომობენ და ჩვენმა შვილებმა კი თავები შეაკლან.. მაგიდან ველოდი დატირებას, მიწის მოყრას, — ვაი მის დედას უბედურს!..

II

— მშვიდობით კეკე! მინც ქე გეზარებოდი დასანახავად და აჰა, ქე მივდივარ, აწი აღარ შეგაწუხებს ჩემგან აღერსიანი სიტყვები... ღიმილით ჩაუ-

რა გვერდზე ერთმა ახალ გაზრდა ყმაწვილმა 17—18 წლის გოგოს და თავ დახრით გამოშორდა.

— ანდრო! შენ ეხლა ყვერაფელი დაგვიწყდება, წერილი ხშირად მომწერე მინც... ეუბნება შეყვარებული თავის სატარფოს, — ეჭ, თებრო!.. წერილს კი მოგწერ მაგრამ, განა ის ჩემს მაგიერებას გაგიწევს... ათი წელია შენს სიყვარულს დავატარებ ამ გულით, და ეხლა კი ეს გული მიბრძანებს ცხელ ტყვიას მიუშვირო გასამირავად.

— რატომ ამბობ მაგ სიტყვებს, ანდრო! მე იმედი მაქვს რომ დაბრუნდები... ვაჟკაცი ვერ გულგატეხილი არ უნდა იყო.

— ეჭ, დავბრუნდებით ასში ერთი, და ის ერთი ვინ იცის რომელი ბედნიერი იქნება!...

გაისმა მატარებლის კივილი, ხალხი მიაწყდა სადგურის კარებს...

ერთ წუთს მთელი ბაქანი ხალხით გაიქედა, ყველამ ერთ მხარეს დაიწყო ცქერა, ორი წუთიც და, მატარებელიც გამოჩნდა, ის ელვის სისწრაფით მოსრიალედა რკინის გზის ლიანდაგზე, წუთიც და ის უკვე სადგურში ჩამოვდა. დაჰკრეს პირველი ზარი, აუარებელი ხალხი მიაწყდა მატარებლის კარებს, ზოგს შობლებიც მიჰყვებოდა ბათუმამდის, ზოგს კიდევ ათესვაები, ხალხი უფრო აირია, დადგა უკანასკილი წუთი გამოთხოვებისა, და ეს წუთი უფრო მრე და მწარე შეიქნა წინანდელზე. აირია სხვა და სხვა ხმები, გამოსამშვიდობებელი სიტყვები... სევდისა და მწუხარების გამაორკეცებელი.

აი, უკანასკნელად გადაეხვიენენ ერთმანეთს დედა და შვილი... აცნობნი და ნათესავები... გულში ნაგები ამ უკანასკნელ წუთს ვერ შეიმავრეს... ბევრმა ხმა მდღათ მორთო ტირილი.

მატარებლის პატარა სარკმლებიდან მრავლათ მოსჩანს მიმავალ ჯარისკაცთა თავები, ისინი დაღვრემილი შესცქერაან თავის ნაცნობ სადგურს და ჩუმის გულის ტკივილით ესაღმებთან... სადგურიდან მათ თავისიანები უკანასკნელ სალამს აწვდიან... აიმედებენ... „წერილი ხშირად მოგვწერე ხშირად...“ დაჰკრეს მესამე ზარი, დაჰკვილა მატარებელმა, და ნელ-ნელ, ზღაპრით გაშორდა სადგურის ბაქანს... ხალხი ბაქანზე დიდხანს არ დაშლილა... გულის ტკივილით გაჰყურებდნენ მიმავალ მატარებელს. მირბის... მიჰქრის მატარებელი, და თან მიაქვს ურიცხვი ჯან-მრთელი სიცოცხლე და ვინ იცის... ნახვენ კი, ისინი კვლავ თავისიანებს?... თავის სახლს, თავის კერას?... არავინ იცის...

დ. ჭანჭათელი.



ტელეფონი

— გაგიმარჯოს ღმერთმა თუ კი მფობღები გყავს. რაშობი ბესარიონ! რაფერაა შენი საქმე? რეი-ზა კაცო? აკი შენ ამბობდი უმისოთ სიცოცხლე არ შემძღლიაო? ასე მალე გაქრა თქვენი სიყვარული? ჰოოო, თუ ასეა საქმე მაშინ-კი... თუ კი ყველას არ შეიყუბა დაუწყო მაშინ რად გინდა მაგისტანაი... აჰ? ჩემი? ვერა ძამია, ჩემს სატრფოზე ჯერე გლახას ვერაფერს ვიტყვი, ნამდვილი გმირია. დღეი და ღამე შეუბნება მიყვარხარო და მეც ქე მჯერა, მარა თუ რამე ეშმაკობა შევატყვე მაშინ-კი „პრაშაი“ სამუდამოთ... „პრიკაშიკების კლუბში“? რაფა არა, ვიყავი... ძან მოწყენილია ზოგიერთი... იმიზ, რომე ღვინოს აღარ ყიდიენ და ისე რათ უნდათ კლუბი... არა, ღმერთმა დამიფაროს ყველაზე არ ეჩივი მაგას, მარა ზოგიერთს ძამია ფეხებზე კიღია შენი სამკითხველოც, ლექციაც და სექციაც... რაიო? პოეტობა დეიწყე! რა გიჰირს მერე, ყოლი-კაცი პოეტია ახლა და ვითამ რაფა შენ ვისზე ნაკ-ლები ხარ... აი ქართული წერა კითხვა შენ ქე იცი და სხვამაც.. დაბეჭდვის რა მოგახსენო, მარა ნუ გეშინია მე გასწავლი წამალს, რომელიმე რე-დაქციის წევრს მუუნათლე ბალანე და საქმეც გეი-ჩარხება... საბურთალოს აუდიტორიაზე ამბობ? რაფა არა წვეიკითხე, რეეისორად ბეგლარა მუუწვევიათ და სუფლიორათ საფაროვი .. ვანცხადება? კი იგიც წაფიკითხე და პაწე ქე გამეცინა გულში, ამდენხანს

ერთი არ გამოდიოდა „მათრახი და აწი მგონი სა-მოცი გამოვა... ახალი გაზეთის გამოცემა? ნეტა ამ სიბერის დროს ბაბამაც არ გამოსცეს გაზეთი თვარა სხვას ვინ ჩივა... შეიღობით ძამია, შეიღობით, თვა-რა აი ჩვენი მუსაიფი ჯაბაურის სახალხო სცენის ისტორიასავით გაგრძელდა.

რ. ჯიბილ.

ომის ჭორები

ომი თუ ასე გაგრძელდა, თუ რომ ღმერთმა კი გვიშველა, ჩვენი ხალხი მეცნიერად შეიქნება მგონი ყველა... დიპლომატად განდებიან მეწაღე და დალაქები: სულ ზეპირად შეისწავლეს, მთელი ქვეყნის ქალაქები..

სადაც წახვალ და წამოხვალ
 ბასია გამართული,
 ერთი ამბობს:
 — „გერმანიას თურმე შემოაკლდა ფული,
 მეგობრებსა შეესესხა,
 მაგრამ ერთმაც არ უშველა!
 (კაცი როცა დაეცემა —
 განზე გაუდგება ყველა),
 ბოლოს ხონთქარსა მიმართა
 შეევედრა, დიღრიჯა!
 ხონთქარმა კი დარდისაგან
 სულ წვერები დაიგლიჯა:
 — „შენგნით ვცხოვრობ, შენ კი მე მთხოვ
 სიმდიდრეს და ქონებასო!
 ნუ მატყუებ, ყბას ნუ მიქცევ
 მამაშენის ცხონებასო“.
 ავსტრიასაც კი მიმართა,
 თურმე სპარსეთსაცა სთხოვა,
 მაგრამ რაკი ერთი გროში
 ველარსად ვერ მოიპოვა,
 გაიწეწა თმა და წვერი.
 მომსწრე ასეთ გასაჰირის
 აღარც სვამს და აღარცა სკამს,
 დღე და ღამე მოსთქვამს, სტირის:
 „რით ვაგუქედო ზარბაზნები
 სამოც დიუმიანიო,
 რომ მე მრავალ მტრისა ცინეს
 მივაყენო ზიანიო,
 რით ავაგო ჯავშნოსნები,
 ან წყალ-ქვეშა ნავებიო,
 რომ ინგლისის „პარახოდებს“
 დაუჩქვოთ თავებიო.“

ან და როგორ ავაშენო
სწრაფი ცეკელინებო,
რომ პარიზი კვლად გახდეს
ჩემგან შენაშინებო.

რით გავქედო გაუბიცი,
სწრაფი ტყვიის მფრქვეველიო,
რომ რუსეთი დავამარცხო,
დავრჩე დაუძლეველიო.“

მაგრამ ფული ოუ არა აქვს
და წაუხდა ანგარიში,
მაშინ შორხა მისი საქმე
ტყუილია მოთქმა-ვიში“...

— „კმარა, კმარა! ტყუილებით
ნუ გამოგვიქედ ყური!..“

გერმანიას ფული კი აქვს,
მაგრამ შემოაკლდა პური.

ჯარი თურმე შიმშილისგან
იხოცება უბედური
და ხალხშიაც ინერგება
მეფისადმი მტრობა-შური.

გზები ყველგან შეკრული აქვს,
მომწყვდეული არის ჩიხში

ა ფულები რას უშველის
ბევრიც რომ ეჭიროს ჯიხში? .

რალა უნდა გავაგრძელო
მისი საქმე წასულია,
დღეს ბევრიც რომ იფხაკუროს,
ყველა ვადა გასულია“...

— „კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს,
გუდასავით ნუ გავგებერე!“

ეგ კორები სხებმა თუ თქვა,
შენ როგორღა დაიჯერე?..“

გერმანიას არ აკლია
არც სურსათი, არც ქანქარი,
არც ხმელეთის იარაღი,
არც ჰაერში საჩხუბარი,
მაგრამ იმას შემოაკლდა —
ალარა ჰყავს მხოლოდ ჯარი.
და მიტომაც, მეგობარო,
მისი საქმე ცუდათ არი.

იქით ფრანგი ეჩხუბება,
გვერდზე ებრძვის ინგლისელი,
აქეთ კიდევ რუსის ჯარმა
სულ მოსწყვიტა საწყლებს წელი.
რა ქნას ან კი, როცა რიცხვით
ჩვენს ხუთ კაცზე მოდის ერთი!
და ივინმა გაიმარჯვოს?..
ისემც შეეწევა ღმერთი“.

ივანიკას ნაამბობი.

იმე! რომ იტყვიან, მეორეთ მოსვლააო—სწო-
რედ ეს არი, მეორედ მოსვლა ცეცხლით იქნება?
ქვეყანა აღშია გახვეული.

გერმანიამ ჩხუბი დეიწყო, რო დეიძახეს სო-
ფელში, მე ჩვენი მეზობელი გერმანიე მეგონა, მარ-
თლაც, დიდი ბოროტი კაცია ეს ოჯახ დასაქცევი.
დუქანში არ ატეხოს აყალ-მაყალი, იქნება გავაშვე-
ლო მეთქი.

ფერინდი დუქნისკენ. ჩვენი გერმანიე კი არა,
თურმე სახელმწიფო იყო და რა ვიცოდი. რა და-
გიფიცოთ, ღმერთს მართალა უყვარს და სწორედ
მართალი გითხრა; იაპონიას ვიცნობდი, აგერ გუ-
შინ წინ გვეჩხუბა, შე კაცო. და ოსმალთა თათარმა,
თავის დღენი და წუთისოფელი ჩვენთან ჩხუბში და-
ლია. და როგორც აქამდინ გეიმარჯვა; ისე გაამა-
რჯვებს თავისი სალოცავი.

რაცხას გაამარჯვებინებს გერმანიეა თუ გერმანე
აღდგომა და ხელაო, - დავინახავ.

არა რო აღარ დაშინდა ეს თათარი ჩვენთან
ჩხუბს! ვაი რო ხალხი იხოცება ასე უღმერთოდ თუ
არა, სახელმწიფოები მაინც დევისწავლე, შე კაცო.
რავი ეს „ვეანი“, დეიწყო, იმდენი სახელმწიფოები
გამოჩნდა, რომ სიზმარში არ მომზმანებია, თორემ
ცხადათ რა ხატი მომავონებდა. „საფრანეთიო“,
„ბერგიაო“, „სერგიაო“, ინგლისიო“ და სხვა. ეს
ინგლისის თიხა კი გამიგონია ბაზარში მედუქნედან,
მარა ამგვარი სახელმწიფო თუ არსებობდა, სწორედ
პირჯვარი დამიწერია.

გუშინ, შე კაცო, მეზობელი მოვარდა გადა-
რეული:

მიშველე, ივანიკა, დავლუბულვარ კაცი, ერთი
შვილი მყავდა სალდათად. წამართვეს, ეხლა ამბავი
მომივიდა „შორაპნელს“ დაუტრია, საავატყოფოში
წოლილა; მინდა ფული გოუგზავნო ერთ თუმანზე
მომათობინე ხელიო. ფული მივეცი, მარა გოაცე-
ბით ვკითხე: იმ ოჯახ დასაქცევს რა ინტერესი
ქონდა რო დაქრა, ჩხუბში მიღოდა და იქ გამოე-
ჩინა ბიჭობა, აღიასთან თუ ღონე ერჩოდა, რალა
თავის მეზობელს დეტაკა მეთქი.

მეზობელი კი არა, შენ გენაცვალე, მარჯვენა
ფეხის მოქრას უპირებენ, ისე შხამიანი ყოფილა ი
ზარბაზნის ყუმბარაო. შხამი და ძიმწარე არ მოელია
მის გამკეთებელს. თურმე „შორაპნელი“ ზარბაზნის
ტყვიას რქმევია და რა ვიცოდი მე შავდღეზე დაბა-
დებულმა. ნეტა ისე არ გაღირიონ „ქუთაისელი“

მარტო იყო მოვალეებს ადვილათ იშორებდა: რა დროს ვგ არისო, ხედავთ ჩვენი თავმჯდომარე კეთილ საქმეშია გაბმულიო, თბილ ტანისამოსის დასარიგებლათ არის წასულიო.

7) წაკითხულ იქნება სარეორგანიზაციო კომისიის ოქმი. ოქმში სხვათა შორის მოხსენებულია: ღმერთი რჯული, ჩვენი ბრალი არ არის, ვინც ამოგვიჩია, იმათი ბრალია, თორემ აბა რა გვესმის ჩვენ ან კომერციისა, ან ღვინისა, ან ბოქვისა, ან ობრუნებისა. რა გვექნა უნდა დაგვეწერა რამ თუ არაა?!

გთხოვთ გვაპატიოთ, აღარ ვიხამთ აღარ!!.

8) მეღვინე მჭედლიშვილი წარუდგენს ვრცელ დოკლადს ამ სათაურით:

„ღმერთო, აპატიე მათ რამეთუ არა იციან რა რას იქნენ“!

9) წვევრებად ყოფილნი ი. ვაჩნაძე და კოლა აბაშიძე კრებას წარუდგენენ უზარ-მაზარ შრაპნელს, რომელიც იფეთქებს. ვისაც მოხვდება ვაი მისი ბრალი, ვინც გადარჩება—აღბათ დარჩება.

10) გამგეობის თავმჯდომარე აპირებს გაჯიუტებას, რომ უსათუოთ „ნდობის საარჩევნო კენჭი“ მიყარეთო.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა: შესაძლებელია კრებამ არ შეიწყნაროს ეს თხოვნა მაგრამ, როგორც თავმჯდომარის ხასიეთი ვიცით თავის წელით გადმოიღებს საარჩევნო ყუთს და იყრის კენჭს „ნდობისას“.

11) წაკითხულ იქნება როსტოვი განყოფილებილამ მოწერილი დეპეშა: საქმე მშვენივრათ მიდის, ნუ შედრკებით, ამ რამდენიმე თვეში ითხას თუმნამდე ვიზარალეთ, იმედი მაქვს წლის ათზე ცხრაას თუმნამდე ავიყვანო“

განყოფილების გამგე ანდრია სარაჯიშვილი.

ბაქოლამ მოწერილი დეპეშა. წელიწადში თქვენ ზარალობთ ბაქოს განყოფილებაში სამას-ოთხას თუმანს. მე პირიქით მოგცემთ სამას თუმანს წელიწადში, ოღონდ მე გადმოგეცით ვაჭრობა(?!?!)

გამგე და გამყრელიძე.

წაკითხულ იქნება აგრეთვე კახეთის ყველა მევენახეთა და მემამულეთა დეპეშა: მზათ ვართ ღვინო მოგყიდოთ ყველა არა წვევრებმა, მხოლოდ მარტო ღვინა ვაჩნაძე მოვიდეს სასყიდლათ და მოსარიგებლათ.

P. S. კრების ანგარიშს თავის დროზედ წარმოგიდგენთ.

in-man.

დ ე ზ ე შ ე ბ ი

(„მათრახის“ საკუთარ კორესპონდენტებისგან).

თელავი. 28 თებერვალს საზოგადოება „კახეთის“ მიდამოებში მოხდება საშინელი ბრძოლა. ერთის მხრიდამ გამოვა თბილი ტანისამოსებით პოლკოვნიკი. მან თვისი რაზმი ორათ გაანაწილა: შუაში თვით იქნება მთავარ სარდლათ, მარჯვნივ პოზიციებს დაიჭერს ძველი სახლების ზედამხედველი, იგივე სამხედრო მოსამსახურე. მეუღლე მისი მოწყალეთა დების გუნდს ჰკრებს. მარცხენა ფრთას შეიმაგრებს იორამ ალაზნის ერისთავი. იგი აღჭურვილია თურმე 50 დიუმიან „დოკლადით“.

თბილ ტანისამოსიანი საბრძოლველად გამოუშვებს 50 საპნის ბურთების ცეპელინებს. მათ მოპირდაპირეთა—ოპოზიციებს დაიჭერს აუარებელი ჯარი. — მთავარ სარდლათ დანიშნულნი არიან ექსწვევრები იანეს და ნიკოლოს გურჯისტანელები. დაწვერილებით ბრძოლის შედეგს შეგატყობინებთ.

ჩქიდავე. ბძანება გაიცა ყველა მევენახეებზედ, ვისაც დამპარებულნი და გადაბუნებული ღვინოები აქვთ, ნუ გაჰყიდიათ. „კახეთის“ ომის შემდეგ ყველა ეს გადასაღვრელი დიდ ჩანებში ჩაისხმება.

სიღნაღი. აქაურ მემამულეებმა გადაწყვიტეთ „კახეთის“ ომში მონაწილეობა არ მივიღოთ, რადგან ღვინო ძლიერ კარგი გვაქვს და ფასშიაც იყიდება.

ლიუბოვრისტული ჟურნალი

„მათრახი“

გამოდის ყოველკვირეულად

წლიური ხელის მოწერა არ მიიღება, თვიურად ღირს ათი შაური, ცალკე ნომერი ორი შაური. ფულის მაგივრად შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნა.

სიამოვნებით დაუბეჭდავთ წერილებს ჩვენგან უკვე ცნობილ პირებს, რომლებსაც არ უღალატნია ჩვენი გამოცემისთვის დაარასიღეს შეცდომაშიც არ. შეუწყვანია „მათრახის“ რედაქცია. ესენი არიან შემდეგი ჩვენი თანამშრომელ-კორესპონდენტები:

ეშმაკის ფეხი, პიტნა, ირეთელი, მათრახოსანი, რ. ჯიბილ, ნოშრევანიძე, ა. განჯის-კარელი, ბეშტია, შხანკოლა, მ. ცხვირაძე, ბერი-ქედანი, წაველა, გ. ლაღოშვილი, გოგია, სატანა, ვაშა-ბაქურა, ბუჯგუტი, ბობროშა, გურიანთელი, გარგანა, ისკანდერ, წიკპარტი, ფუტკარი და სხვ.

მასალები გამოგზავნება: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Теофилу Болквадзе.

არ დაარქვან, თუ არა შორაპნელმა ქირი მოგკამოს. დაარქმევენ, აბა რას იხამენ ჩემსავით დასოკოვებულ ხელები არა აქვთ მუშაობით, ჯიან და ფიქრობენ—რას რა დაფარქვათო.

ჩხუბის გათავებას არ აპირობენ, ან რამ უნდა გააშველოს ამდენი ხალხი.

ჩემ ეზოში რომ იღაურებს მოუვით ჩხუბი, რო დავერიო კეტიო, თუ არ დავხოცე ან და ჩემი ცოლი პელაგია არ მომეშველა, შენ არ მომიკვდე ვერ გავაშველო. ამდენი ხალხის გაშველება ხომ ხუმრობა საქმე არაა?..

ჩიხელი.

ს ა ტ რ ფ ო ს

(სახსოვრად ი. მ — ს)

სიზმრად ვნახე მშვენიერო ხელში გეპყრა ტურფა ვარდი: ნახად მორთულ მოკახმული ინახე შემეყვარდი; საიქედო სხივი მომხვდა გულმა იგრძნო სიხარული, ნაზ-ნარნარო, ტრფობის ნიშნად გიძღვენ გრძნობის თაიგული: შემოგფიცე სიყვარული, ტურფავ ჩემად დავისახე... გამეღვიძა გაჰქრა ყველა გეძიე და ვერა ვნახე. მომეღლინე კვლავ ღვთაებავ, ფიცი წრფელი მოიგონე, მე შენთან ვარ განუყრელი მომეხვიე — ჩამეკონე.

გოგია.

ლ ა თ ა ი ა

(ჩვენ ზოგ-ზოგ რეჩისტ-ორატორებისათვის).

ბატონი. ბიჭო, ანთიმოს, წადი შევილო, ექიმს შეატყობინე რომ მოვიდეს!.. ძალიან ჩქარა მოვიდეს, ავათა ვარ, ძალიან ავათა ვარ!

ბიჭი. კი ბატონო ახლავე. (მიდის)

ბატონი. მოიცა ბიჭო, ექიმი რომ დარწმუნდეს, რომ მე ძლიერ ავათა ვარ და ჩქარა მოვიდეს ასე უთხარი, რომ თქო თავი ისე დასიებია თქო უთხარი, როგორც აღდაშის საზამთრო თქო გესხის, აბა ვასწი ჩქარა?..

ბიჭი. კი ბატონო, (გარბის).

ბატონი. ბიჭო მოიცა, ბიჭო, მოიცა! რომ მართლა დაგიჯეროს და იმ წამსვე გამოგყვეს ასე უთხარი რომა თქო ჩემ ბატონს ფეხები ისე აქას დასიებული თქო, როგორც ნესეები თქო.

ბიჭი. კი ბატონო (მირბის).

ბატონი. მოიცა, ბიჭო! იქნებ კიდევ არ დაგიჯეროს და ასე უთხარი რომა თქო, ჩემ ბატონსა თქო თითები ისე აქვს დასიებული როგორც კიტრი თქო. აბა ჩქარა!..

ბიჭი. ახლავ ბატონო ახლავ გაახლევ (მირბის)

ბატონი. მოიცა ბიჭო, უფრო და უფრო რომ დაგიჯეროს უთხარი ექიმს ჩემ ბატონს ცხვირი ისე აქვს დასიებული თქო როგორც მანგლისის კართოფილი თქო აბა ვასწი საჩქაროთ.

ბიჭი. (განცვიფრებული) ბატონო, თქვენ იმდენი დამაბარეთ, რომ სამი დღე რომ ვიზებორო მაინც ვერ დევიმახსომეფ და ვერც გადავსცემ და მანამდე შეიძლება თქვენც სული წაგძვრეთ. აბა, ერთს ვიზამ მე, წავალ ექიმთან, რომ საჩქაროთ გადავსცე და საჩქაროთ მოვიდეს ასთე ვეტყვი: ექიმო, ჩემი ბატონი ბოსტანი გამხდარა და მობრძანდი თქვა...

იოვანე

ხმა თელავიდან.

28 თებერვალს მოხდება საზოგადოება „კახეთის“ წლიური საზოგადო კრება. კრება განიხილავს შემდეგ საგნებს:

1) ამ ოცი წლის განმავლობაში რამდენი უზარალნია საზოგადოებას.

2) რამდენი ვალი აქვს.


3) რამდენ წევრს რამდენი ფული გაუტანია ავანსად და ახლა ახლოც აღარ ეკარება.

4) კრებას წარუდგება ადრესი იმ პირთა, რომელთაც კომერცია ესმის. ულოცავს ოცი წლის მოღვაწეობას და ამასთანავე დასძენენ: ნუ გეშინიანთო სულ ოცი წელიწადია, მეტი ხომ არ არისო რომ სულ ზარალში ხართო, თქვენ ნახავთ 60 წლის შემდეგ როგორ გაფართოვდეს თქვენი საქმეო და არამც თუ მოსკოვშიო ტაბახმელაშიაც „ოდელენიებსა გახსნითო.

5) თავ. ლევან ვაჩანძე (გამგეობის თავმჯდომარე) კრებას წარუდგენს მთელს მოხსენებას, თუ როგორ დაურიგა თბილი ტანისამოსი მეომარო და დაჭრილებს. სიხარულით დასძენს რომ ტანზე ყველას კარგათ დაადგაო.

6) სულხან ჭავჭავაძე (გამგეობის წევრი) წარუდგენს კრებას თავის აღტაცებას, რომ, როდესაც

აშინაგოს ოპერები სახაზინო თეატრში.



— ღმერთმა უშეელოს აპირაკოს, რომ დაგვატეხო თბილისის მოქალაქენი ამ დიდ მარხეში.



თბილისის მიკიტნების ჩივილი.

ეს საქვეყნო დიდი ომი
ჩვენთვის გახდა შავი ქორი,
პოლიციამ და მთავრობამ
საქმე გეყო გასაყვირი!..

დუქნები რომ დაგვიკეტეს,
შევიტენით ანატორი!
და დაუდივართ ქუჩა-ქუჩა
სულ ჩამოგვიგრძელდა ცხვირი.